ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №86

23 აპრილი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

1. მიმდინარე წლის 30 აპრილს, დილის 12 საათზე, მოწვეული იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 დეკემბრის N65 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ზურაბ ჩანტლაძე

1.2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ბეჭდის ნიმუშისა და გამგეობის რწმუნებულთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აგვისტოს N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჯინჭარაძე

1.3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ლევან ჩხიკვაძე

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ დოლიძე

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ვაჩეიშვილი

1.6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეების და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.7. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის N9 დადგენილებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: მალხაზ დოლიძე

1.9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ ჩანტლაძე

1.10. 2011 წლის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების შესახებ.

მომხსენებელი: ავთანდილ ბერიშვილი

1.11. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ ჩანტლაძე

1.12. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 დეკემბრის N76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

1.13. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ტარიელ ჩხიკვაძე

1.14. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ტარიელ ჩხიკვაძე

1.15. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინქტუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ლევან ჩხიკვაძე

1.16. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების პირობების და I კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ლევან ჩხიკვაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე–ჭავჭავაძის ქ.N4.

3.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*